CAUCASIAN
WIND COMPANY
GRPC

N 021
13/08/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა

და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს,

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

მისამართი: მარშალ გელოვანის გამზ. N6,

თბილისი 0159, საქართველო

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 7 აგვისტოს N7582/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სს „კავკასიის ქარის კომპანიის" მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ „კასპის ქარის ელექტროსადგურის (დაგეგმილი სიმძლავრე 54 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის, 110 კვ ეგხ-ის გაყვანის და 110 კვ ქვესადგურის განთავსების" პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და მასთან დაკავშირებით, საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის - საბუკოს 2020 წლის 17 ივლისის N06_1707 წერილში მითითებული შენიშვნას, წარმოგიდგენთ აღნიშნული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილე ექსპერტების ხელმოწერებს, რომელთა შორის არის ფაუნისა და ხელფრთიანების კვლევაში მონაწილე სპეციალისტის, გიორგი შეყლაშვილის ხელმოწერა.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ზურაბ გორდეზიანი

სს „კავკასიის ქარის კომპანიის"
გენერალური დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 12812
"13" 08 2020
N1 ფ.
03

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	ს.ს. „კავკასიის ქარის კომპანია“
კომპანიის იურიდიული მისამართი	დ. აღმაშენებლის გამზ. 79, 0102, ჩუღურეთის რაიონი, თბილისი, საქართველო
კომპანიის ფაქტიური მისამართი	მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10, 0179, მთაწმინდის რაიონი, თბილისი, საქართველო
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო რენეს, სოფ. ქვემო რენეს, სოფ. იგოეთის, სოფ. მრგვალი ჭალას და სოფ. გამდლისწყაროს თემების ტერიტორიაზე
დაგეგმილი საქმიანობის სახე	კასპის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია
ს.ს. „კავკასიის ქარის კომპანია“-ს საკონტაქტო მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი	404519865
ელექტრონული ფოსტა	zgordeziani@grpc.ge
საკონტაქტო პირი	ზურაბ გორდეზიანი
საკონტაქტო ტელეფონი	(+995 577) 350 350
საკონსულტაციო კომპანია:	შპს დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი
შპს დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი-ს დირექტორი	მ. ქიმერიძე
საკონტაქტო ტელეფონი	მობილ: (+995 599) 154 656; ტელ: (+995 32) 2 388 358;

ცხრილი 1-2 პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილე სპეციალისტების ნუსხა

საკითხები	ექსპერტი ან კომპანია	ხელმოწერა
ფლორა და ჰაბიტატები (ანგარიში - დანართი 1)	მ. ქიმერიძე შპს დაბლიუიჯი - ენვი კონსალტინგი	
ტყის აღწერის უწყისები (დანართი 2)	თ. დევდარიანი	
ფაუნა (ანგარიში - დანართი 3)	ა.კანდაუროვი გ. შეყლაშვილი	
ორნითოფაუნა (ანგარიში - დანართი 4)	ა. აბულაძე	
ხელფრთიანები (ანგარიში - დანართი 5)	ი. ნატრაძე ა. ბუხნიკაშვილი გ. შეყლაშვილი	
ატმოსფერული ემისიების მოდელირება(დანართი 6)	შპს გამა კონსალტინგი	
ხმაურის მოდელირება (დანართი 8)	შპს ეკოსპექტრი	
არქეოლოგიური კვლევა (დანართი 10)	ზ. გიორგაძე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	
შუქჩრდილების ციმციმის მოდელირება (დანართი 11)	FRACTAL d.o.o. POWER SYSTEM ENGINEERING AND CONSULTING	Eugen MudniÄ‡, Ph.D. Marin Vitezica, MScEE. ციფრული ხელმოწერა
გზშ-ს დანარჩენი თავები	მ.ჭელიძე შპს დაბლიუიჯი - ენვი კონსალტინგი	

საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7582/01
07/08/2020

7582-01-2-202008071922

სს „კავკასიის ქარის კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი,
მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10

თქვენ მიერ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ „კასპის ქარის ელექტროსადგურის (დაგეგმილი სიმძლავრე 54 მგვტ.) მშენებლობისა და ექსპლუატაციის, 110 კვ ეგხ-ის გაყვანის და 110 კვ ქვესადგურის განთავსების“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებით, გიგზავნით საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის-საბუკოს მიერ სამინისტროში წარმოდგენილ წერილს.

გთხოვთ , უზრუნველყოთ განცხადებაში მითითებული გარემოების შესახებ ინფორმაციის/ დოკუმენტაციის წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

SABUKO

მისამართი: 0108, ვ. სარაჯიშვილის 3ა

ტელ: +995 577 96 05 59

ელ-ფოსტა: e-mail: office@sabuko.ge

web: www.sabuko.ge

საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის - საბუკო

17.07.2020

#06_1707

სს „კავკასიის ქარის კომპანიის“

ქარის სადგურის პროექტის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ხელმძღვანელს

ქალბატონ მაია ბერაძეს

ქალბატონო მაია,

2020 წლის 9 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება სს „კავკასიის ქარის კომპანიის“, კასპის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ), 110 კვ ეგხს-ს და ქვესადგურის მმშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. განცხადებას თან ერთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ორი ტომი, არატექნიკური რეზიუმე, ექვსი დანართი და შეიფ ფაილები.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ მე-10 მუხლის, მეორე პუნქტის თანახმად გზშ-ის ანგარიში ხელოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პირველი ტომში ვკითხულობთ: „კვლევაში მონაწილეობდნენ შემდეგი ექსპერტები: დოქტორი ალექსანდრე აბულაძე, იოსებ ნატრაძე, დოქტორი ალექსანდრე ბუხნიკაშვილი, ანდრეი კანდაუროვი და გიორგი შეყლაშვილი“.

დოკუმენტაციას თან არ ერთვის კვლევაში მონაწილე ექსპერტის - გიორგი შეყლაშვილის ხელმოწერა.

გთხოვთ, მოახდინოთ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11059
"17" 07 2020 წ.
03

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

თინათინ არველაძე.